ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ნინო ლაცაბიძის 2018 წლის ანგარიში

2017 წლიდან დღემდე ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს წევრი.

- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი:

- ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრი:

- ფრაქცია " ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო " - ს ფრაქციის წევრი.

საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

- 2017 წლის ნოემბრიდან დღემდე , ჩატარებული, საკრებულოს,ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა 17 კომისიის სხდომიდან , დავესწარი 14 სხდომას,სადაც განვიხილეთ 22 საკითხი .

- იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას შევუერთდი 2018 წლის 13 აპრილს,შესაბამისად 2018 წლის 13 აპრილიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით დავესწარი 6 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 88 განკარგულებისა და 12 დადგენილების პროექტის განხილვაში.

.ფრაქცია " ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსათვის " , ჩატარებული სხდომების რაოდენობა შეადგენს 33 , ხოლო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რაოდებობა 53 . დავესწარი 28 სხდომას ,

განხილული საკითხების რაოდენობა შეადგენს 44-ს.

მივლინებები

- 2018 წლის 16-23 სექტემბრის ჩათვლით,სამუშაო ვიზიტით გახლდით

გერმანიის რესპუბლიკის ქალაქ როსტოკში, სადაც გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის (GTZ) ხელშეწყობით გამართულ კავკასიის ქალაქთა ქსელის ყოველწლიურ შეხვედრაში მივიღე მონაწილება.

ვიზიტის ფარგლებში, აგრეთვე დავესწარი საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც მუნიციპალიტეტების ურბანულ განვითარებას ეძღვნებოდა.ვიზიტის მსვლელობისას შევხვდი ქალაქ როსტოკის მერს და სენატორს,ვისაუბრეთ კავკასიის ქალაქებთან დაკავშირებულ სამომავლო ინიციატივებზე და ქალაქ თბილისსა და ქალაქ როსტოკს შორის ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივებზე.

- 2018 წლის 24-25 სექტემბერს , ვიმყოფებოდი მივლინებაში ,ქალაქი

კიევი (უკრაინა) .

აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებათა კონფერენციის (CORLEAP) მე-8 ყოველწლიურ შეხვედრაზე. აღნიშნულ შეხვედრაზე დებატები გაიმართა მუნიციპალური თანამშრომლობის, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების და ახალგაზრდა თაობის ჩართულობასთან დაკავშირებით.

მოსახლეობასთან ურთიერთობა

მე როგორც საკრებულოს წევრი, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ მოქალაქეთა მიღებას და მათი პრობლემების შესწავლის

საკითხს,მოქალაქეების მიღება წარმომადგენლობაში კვირის ნებისმიერ დღეს ხორციელდება,გარდა ამისა სისტემურად გავდივარ კონკრეტულ მისამართებზე და უფრო ზუსტად ვეცნობი მათ პრობლემებს.

შეხვედრებისას წარმოჩენილი პრობლემატიკა სხვადასხვა ხასიათისაა : სოციალური,ჯანდაცვის,ურბანული და ინფრასტრუქტურული,კულტურულ-საგანმანათლებლო.

ყოველ კონკრეტულ საკითხს ზედმიწევნით განვიხილავ , ყველა მოქალაქეს გაეწია სხვადასხვა სახის კონსულტაცის,დახმარება ან/და შუამდგომლობა:

მოქალაქეებთან აქტიური შეხვედრები მაძლევს საშუალებას ვიცოდე რეალური პრობლემები,ხელი შევუწყო საკითხებზე დროულ რეაგირებას და ქმედითად ვიმუშაო მთელ გუნდთან ერთად.

2017 წლის ოქტომბრიდან დღემდე რაიონის მაცხოვრებლებთან შედგა 35-შეხვედრა სხვადასხვა მისამრთზე.

წარმომადგენლობაში მიღებულ იქნა 523- მოქალაქე, ხოლო შემოსული წერილების რაოდენობაა 11. .
ჩემს სამაჟორიტარო ოლქში დაახლოებით 13 000 სოციალურად დაუცველი მოქალაქეა,აქედან გამომდინარე მომმართვიანობა დიდია სხვადასხვა სახის შუამდგომლობის გაწევის თხოვნით.

ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე,მედიკამენტებით უზრუნველყოფაზე,ქირურგიული ოპერაციული მკურნალობის ხელშეწყობაზე,სამშენებლო მასალაზე,ასევე იყო სხვადასხვა კოლექტიური განცხადებები,როგორც ბინის ქირით დაკმაყოფილების ასევე სხვადასხვა კერძო კომპანიებთან შუამდგომლობების მოთხოვნაზე.

ჯამში შუამდგომლობები შეადგენს 150-ს.

▪მოგეხსენებათ რომ,2017 წლის 22 ნოემბერს ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში ანტიტერორისტული სპეცოპერაცია ჩატარდა.სპეცოპერაციის შედეგად კორპუსი დაზიანდა და

საჭიროებდა გამაგრებით სამუშაოებს,აქტიურად ვიყავი ჩართული აღნიშნულ საკითხში,კორპუსს სრულად ჩაუტარდა რეაბილიტაცია , ასევე დაზარალებულ ოჯახებს აუნაზღაურდათ ზარალი.

.მიწის ლეგალიზება,დაკანონების საკითხი.

მოქალაქეთა მომმართვიანობა ამ კუთხით საკმაოდ დიდია ,მათ უწევთ სათანადო კონსულტაციას .

რაიონში არის 17 კომპაქტურად ჩასახლებული ობიექტები,640 დევნილი ოჯახი.

რომელთა ძირითად პრობლემას წარმოადგენს საცხოვრებელი ფართების დაკანონება და ინფრასტრუქტურული საკითხები.

სამგორის ქ.N:16-ში მდებარე კომპაქტურად ჩასახლებულ 18 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებელი ფართები.

ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N:133-ა ,ასევე აქტიურად ვართ ჩართულები დაკანონების პროცესში და 7 ოჯახს დაუკანონდა არსებული საცხოვრებელი ფართები,შენობა რომელიც ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე იყო,მოხდა მისი თბილისის მერიის ბალანზე გადმოტანა,მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული შემდეგი პროცედურები.

ჩვენს რაიონში არის 4 საჯარო და 3 კერძო სკოლა.ასევე 2 საბავშვო ბაგა-ბაღი. N: 109-ე საბავშვო ბაგა-ბაღი,რომელიც მდებარეობდა ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N:38-ში,დღეისათვის მდებარეობს „AS-ჯორგია“-ს ტერიტორიაზე,საბავშვო ბაღების მართვის სააგენტოს მიერ,მოთხოვნის საფუძველზე,აღნიშნულ შენობას ჩაუტარდა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზა და დასკვნის საფუძველზე ბაღის დახურვა და ალტერნატიული ფართის სწრაფი მოძიება გახდა საჭირო.აქტიურად ჩავერთეთ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში,ქალაქის მერიისა და საბავშვო ბაგა-გაღების მართვის სააგენტოსთან შეთანხმებით მივაღწიეთ შედეგს.დეველოპერული კომპანია „AS-ჯორჯია“-სთან მჭიდრო ურთიერთობამ ხელი შეუწყო არსებული პრობლემის დროულად გადაჭრას.ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსში,ორ სართულზე განთავსდა

ჯგუფები და სასწავლო პროცესი შეუფერხებლად განახლდა 2 დღეში.აქტიურად ვართ ჩართულები ძველი ბაღის ტერიტორიაზე,ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის აშენების პროცესში,რომლის დაწყებაც იგეგმება უახლოეს მომავალში.

ასევე „AS-ჯორგია „-სთან თანამშრომლობისა და მოლაპარაკების საფუძველზე,სოციალურად დაუცველი,მრავალშვილიანი ოჯახების შვილების სწავლა-განათლების გაუმჯობესების მიზნით,ჩვენს წარმომადგენლობით ოფისში მოწვეული პედაგოგების დახმარებით,ვატარებთ ინგლისური ენისა და უნარ-ჩვევების გაკვეთილებს,დღეისათვის 70 - ბავშვი სარგებლობს ამ პროექტით.

ერთერთ პრიორიტეტულ საკითხათ მივიჩნევთ ახალგაზრდების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში.

ჩვენ მუდმივი ურთიერთობა გვაქვს ჩვენი რაიონის,როგორც საჯარო,ასევე კერძო სკოლებთან,დაიგეგმა და განხორციელდა ბევრი ღონისძიება,სადაც სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა.

სკოლებთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე,მოხდა წარჩინებული ბავშვების შერჩევა და რაიონში შეიქმნა ახალგაზრდა,მოტივირებული,ერუდირებული,ბავშვების ჯგუფი "ინიციატორი" ,რომელთა რაოდენობა ამ ეტაპზე 130-ია.

აღნიშნული ჯგუფის ჩართულობით გაიმართა და მოამვალშიც გაიმართება როგორც,შემეცნებითი ასევე სპორტული ღონისძიებები.

ახალგაზრდების აქტიური ჩართულობით მოეწყო 3 ექსკურსია როგორც ქალაქგარეთ ასევე ქალაქის მასშტაბით.

ჩვენს წარმომადგენლობაში მოწვეულნი იყვნენ კომპეტენტური პირები კონკრეტულ საკითხებზე სასაუბროდ,რომლის თემაც წინასწარ გამოკითხვით შეირჩა ახალგაზრდების მიერ,გაიმართა 8 საჯარო ლექცია-დისკუსია სახელწოდებით " ხელისუფლება შენს უბანში" პროექტის ფარგლებში ჩვენს წარმომადგენლობით ოფისში გვეწვივნენ საქართველოს პარლამენტის წევრები.

მათ ასევე საშუალება მიეცათ ენახათ შინაგან საქმეთა სამინისტროს

ერთობლივი ოპერაციების ცენტრი,მათ ადგილზე ტექნიკის მუშაობის შესახებ ლექცია ჩაუატარა ცენტრის ხელმძღვანელმა ბტ-გიორგი არსოშვილმა.

ახალგაზრდების არსებულ ბაზაზე დაკომპლექტდა თამაშ “რა? სად? როდი?”-ის გუნდები და გაიმართა რაიონის მასშტაბით ჩემპიონატი,თამაშის წამყვანი “რა?სად?როდის?”ის თავჯდომარე გიორგი მოსიძე იყო.

ასევე რაიონის მასშტაბით ჩავატარეთ სპორტული ღონისძიება,გარბენი სახელწოდებით „ირბინე მომავლისთვის“,რომელმაც გააერთიანა რაიონის ყველა ასაკის წარმომადგენლები და გარბენში მონაწილეობა მიიღო 500 -მა ადამიანმა.

ვცდილობ ყველა დაგეგმილ და უკვე განხორციელებულ პროექტში მაქსიმალურად იყოს ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა .

ეზოების,ქუჩების,სკვერების მოწყობა,რეაბილიტაცია.

2018 წელს ჩემს სამაჟორიტარო ოლქში მოეწყო 2 სკვერი,განახლებითი სამუშაოები ჩაუტარდა 4 სკვერს,ასევე გზის საფარი დაიგო 3 ქუჩაზე,და მოპირკეთდა 5 შიდა ეზო. სანიაღვრე სისტემა სრულად გაიმართა 3 მისამართზე.

არნიშნულ სამუშაოებში პირადად ვიყავი ჩართული ,რაც მოიცავს ადგილზე სამუშაოების და ხარისხის კონტროლს.

განსაკუთრებული ყუდადღება მინდა გავამახვილო იმ პრობლემურ საკითხზე რაც სამწუხაროდ ხშირია ჩვენს რეალობაში,პირებს რომელთაც უჭირთ გადაადგილება და სარგებლობენ ეტლებით, სწორედ მათთვის და არა მარტო მათთვის,ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N:62-ში მოეწყო ახალი, სრულად ადაპტირებული სკვერი,სკვერში ასევე არის დარბაზი,რომელიც იტევს 350 ადამიანს,დარბაზს აქტიურად ვიყენებთ სხვადასხვა ღონისძიებებისთვის.მაგალითისთვის „ღია ცის ქვეშ“ ფილმის ჩვენება .